

საპარლამენტო დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა და  
უფლებამოსილება (საქართველოს მაგალითზე)

ზურაბ შელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მენაბდე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზურაბ შელია

05.07.2021

## აბსტრაქტი

სამართლებრივ და დემოკრატიულ სისტემაში სახელმწიფოს თითოეული ორგანოს ფუნქციონირების ამოცანა კონკრეტული ინდივიდის - ადამიანის უფლებების დაცვა და მისი ღირსების უზრუნველყოფაა. საამისოდ, ხელისუფლების დანაწილების ტრიადაში პარლამენტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც დადგენილი წესრიგის ეფექტური შესრულებისთვის ბრძოლაში, კერძოდ - ადამიანებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში მყოფი ინტიტუტების, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლში ვლინდება. საპარლამენტო მექანიზმებს შორის დროებითი საგამოძიებო კომისია არის ინსტრუმენტი, სადაც ცალკე აღებულ არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს, მათ შორის, არც ხელისუფლებას არ ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს სათავისო გადაწყვეტილება, ის უნდა დაეფუძნოს კონსესუსს.

ნაშრომის მიზანი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგამოძიებო კომისიის მანდატისა და შექმნის წესის შესწავლა, არსებული ხარვეზებისა თუ პერსპექტივების იდენტიფიცირება და ინსტიტუტის საქმიანობაში ოპოზიციის როლის გამოკვეთაა.

საკვანძო სიტყვები: დროებითი საგამოძიებო კომისია, საპარლამენტო კონტროლი, ოპოზიციის საპარლამენტო მანდატი.

## Abstract

In a legal and democratic state, the main duty of every government body's functioning is a protection of human rights and providing dignity of every certain person. Therefore, the parliament performs one of the most important roles in a triad of government power separation including the realization of controlling authority, which is revealed in an effective competition of following established orders, particularly, for the institutions involved in every day interaction with people, overseeing the executive body. Among with the mechanism of parliamentary control, temporary investigative committee is an instrument, where neither a separate political group, nor authorities are able to make a favorable decision, it must be based on a consensus.

The main aim of this work is a study of mandate and creation rule of temporary investigative committee determined by Georgian legislation, identify the existing flaws, perspectives and highlight the role of opposition in an activity of institute.

**Key Words:** Temporary investigative committee, parliamentary control, Rights of the opposition in a parliament.